პრესრელიზი

11.02.2014

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი საქართველოში ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების პოლიტიკას აფასებს

11 თებერვალს 13:00 საათზე (სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში", თბილისი, თელავის ქ. 20, დარბაზი „ბალავარი", I სართული,) სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR) კვლევის შედეგების პრეზენტაციას გამართავს. კვლევა ეხება *უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების საშეღავათო პოლიტიკისა და ერთწლიანი ქართული ენის პროგრამის ეფექტურობას შესწავლას საქართველოში.*

კვლევა დაფინანსდა გაეროს ასოციაციის მიერ და განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროგრამის "ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება" (ANI) ფარგლებში.

ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული საშეღავათო პოლიტიკა მიზნად ისახავს ყველა სტუდენტს მისცეს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა.

2010 წლიდან დაწყებული ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა დაახლოებით 1500 ეთნიკურად არაქართველ სტუდენტს აერთიანებს და მისი მიზანია ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენა.

ღონისძიების მიზანია პოლიტიკის განხორციელების პროცესში ჩართულ ადამიანებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს გააცნოს სამოქმედო პოლიტიკასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, რომლებიც CCIIR - მა კვლევის ფარგლებში შეისწავლა და ის რეკომენდაციები, რომელიც კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა.

პრეზენტაციას დაესწრებიან: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები და რეფორმის ავტორები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ლექტორები და პროგრამის ხელმძღვანელები, ეთნიკური უმცირესობებისა და განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები და სხვები.

საკონტაქტო პირი:

ქეთევან ჯაჭვაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
CCIIR
k.jachvadze@cciir.ge 595 511050